ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 31 08 2017 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 206-ს.

ქ. თ ბ ი ლ ი ს ი

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიებისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ -საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-9 და მე-10 მუხლების; უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/2188, 30.08.2017), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (N1/2204, 31.08. 2017), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (N1/2191, 30.08.2017), სოციალურ მეცნიერებათა (N2189, 30.08.2017) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების, მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში გამოცხადდეს მიღება უნივერსიტეტის სკოლების (ფაკულტეტების) სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე დანართი N1-ის შესაბამისად.
2. 2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N2-ის შესაბამისად.
3. დადგინდეს დოქტორანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N3-ის შესაბამისად.
4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტარატეგიული განვითარების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; ენების ცენტრს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს.
5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.
6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დანართი N1

2017 - 2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სადოქტორო საგანმანთლებლო პროგრამებზე გამოცხადებული ვაკანტური ადგილები:

1. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   ა) საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **7 ადგილი;**

   ბ) ქართველური ენათმეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **7 ადგილი**

   გ) ქართული ლიტერატურის ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **7 ადგილი;**

   დ) თარგმანმცოდნეობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **7 ადგილი.**

2. **ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   ა) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი;**

   ბ) ეკონომიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **5 ადგილი.**

3. **ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):**

   ა) კომპიუტერული ტექნოლოგიები და მათემატიკური მოდელირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **8 ადგილი.**

4. **სოციალურ მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   ა) ფსიქოლოგია, ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე - **6 ადგილი.**

დანართი N2

2017 - 2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში დოქტორანტურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები:

1. აპლიკანტთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2017 წლის 4 - 11 სექტემბერი;
2. გამოცდა უცხო ენაში - 2017 წლის 13 სექტემბერი;
3. უცხო ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2017 წლის 14 სექტემბერი;
4. გამოცდა სპეციალობაში - 2017 წლის 15 სექტემბერი;
5. სპეციალობაში გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2017 წლის 18 სექტემბერი;
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება - 2017 წლის 19 – 25 სექტემბერი;
7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა- 2017 წლის 25 სექტემბერი.

დანართი N3

დოქტორანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ასლი, (*2017 წლის კურსდამთავრებულებისათვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
3. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ **(CV)**;
5. გამოქვეყნებული შრომების სია შრომების ქსეროასლებით (არსებობის შემთხვევაში);
6. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) B_2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (წარმოდგენისა და კომისიის შესაბამისი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენაში გამოცდისგან);
7. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის/დარგის აღიარებული სპეციალისტის შუამდგომლობა სათანადო დასაბუთებით;
8. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
9. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობის (ვაჟებმა) - ასლი;
10. ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD დისკზე;
11. სტუდენტის ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).